



სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის

სტრატეგიული განვითარების გეგმა

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში შეიმუშავებს და ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერების მიმართულებით.

ფაკულტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, ფაკულტეტის დებულებისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე.

ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები

1. ფაკულტეტის ძირითადი მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება და კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება/ხელშეწყობა.
2. ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია:
 - ა) სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების - მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება;
 - ბ) პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების - ბაკალავრების მომზადება;
 - გ) სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების - მაგისტრების მომზადება;

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ა) სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით უმაღლესი განათლების აკადემიური პროგრამების განხორციელება;
- ბ) სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმართვა.

ფაკულტეტი სტუდენტებს მოუწოდებს „სწავლისათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში“. ამ მიზნის განსახორციელებლად ყოველგვარი პირობები შეექმნებათ იმათ, ვინც მოინდომებს აკადემიური კარიერის გაგრძელებას. შესაბამისი სამსახური კურსდამთავრებულებს დაეხმარება შრომის ბაზარზე საკუთარი ადგილის პოვნაშიც. ადმინისტრაცია ყველაფერს გააკეთებს მაღალკვალიფიციური და გამოცდილი კადრების შესანარჩუნებლად, განავითარებს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, წახალისებს სტუდენტურ ინიციატივას, ორგანიზებას გაუწევს კულტურულ თუ შემეცნებით-გასართობ ღონისძიებებს.

მისია

შექმნას სწავლების, კვლევისა და განვითარების თანამედროვე, ინოვაციური, დემოკრატიული და უსაფრთხო გარემო, მოამზადოს პროგრესული, კრიტიკული აზროვნებისა და სამოქალაქო თვითშეგნების მქონე პროფესიონალები სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში

ხედავ

2024 წლისთვის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში შრომის ბაზრის დაკვეთის მაქსიმალურად დაკმაყოფილება კვალიფიციური კადრებით

ღირებულებები

ფაკულტეტი გრძნობს პასუხისმგებლობას ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებზე, ამიტომ ყოველმხრივ მზადაა ხელი შეუწყოს სწავლისა და სწავლების ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, მეცნიერული კვლევა-ძიების ინტენსიფიკაციას და ახალგაზრდობის სოციალიზაციის გაღრმავებას, თანასწორობას, გუნდურ მუშაობას, ინოვაციურობას. ასევე ევროინტეგრაციას და ევროპული სტრუქტურებისკენ სწრაფვას.

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> ○ გამოცდილი და მაღალკვალიფიციური აკადემიური, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალი; ○ უმაღლესი განათლების სამივე საფეხურისთვის აკრედიტებული/ავტორიზებული საგანმანათლებლო პროგრამები როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე; ○ სასწავლო პროგრამების შედგენასა და განვითარებაში დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა ○ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში პერსონალის მაღალი ჩართულობა; ○ მუდმივად განახლებადი საბიბლიოთეკო ფონდი; ○ სასწავლო პროცესში დოქტორანტების მაღალი ჩართულობა; ○ სტუდენტზე მორგებული მოქნილი გადახდის სისტემა; ○ ძლიერი სტუდენტური თვითმმართველობა; ○ სტუდენტების სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, მათი დახმარება და ხელშეწყობა; ○ სტუდენტების მიერ, სამივე საფეხურის პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მაღალი მაჩვენებელი; ○ ფაკულტეტის პერსონალისა და სტუდენტების განვითარებისა და თვითგანვითარების ხელშეწყობა; ○ სასწავლო-კვლევით პროცესში უცხოელი მოქმედი და ემერიტუსი პროფესორების ჩართულობა; ○ სამართლის კლინიკა; აქ რატომ არის კითხვის ნიშანი ვერ გავიგე ○ კრიმინალისტიკის ლაბორატორია. აქ რატომ არის კითხვის ნიშანი ვერ გავიგე 	<ul style="list-style-type: none"> ○ საერთაშორისო და გაცვლით პროექტებში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ეს ამოვიღოთ? ○ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის, შესაბამისი ინფრასტრუქტურა
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> ○ უცხოელ სტუდენტთა მოზიდვა; ○ საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა; ○ სტუდენტური პროექტების რეალიზება ლაბორატორიების ბაზაზე; ○ მატერიალური ბაზის სრულყოფა; სტუდენტთა კარიერული ცენტრის შექმნა; ○ ორმაგი ხარისხის მინიჭება; ○ კვლევითი კლასტერების ორგანიზება; ○ ინოვაციური კლასტერები 	<ul style="list-style-type: none"> • სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილება • საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების სისტემის შეცვლა • შრომის ბაზარზე, დღეისათვის მოთხოვნად და დეფიციტურ პროფესიათა ბალანსის შეცვლა



სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის

პრიორიტეტული მიმართულებები

I პრიორიტეტული მიმართულება - ინსტიტუციური განვითარება

II პრიორიტეტული მიმართულება - ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება

III პრიორიტეტული მიმართულება - სტუდენტური ცხოვრების მხარდამჭერი გარემოს შექმნა

IV პრიორიტეტული მიმართულება - საგარეო ურთიერთობების განვითარება, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის

სტრატეგიული მიზნები

I პრიორიტეტული მიმართულება - ინსტიტუციური განვითარება

სტრატეგიული მიზანი 1 - მართვის ხარისხის სისტემის გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზანი 2 - ადამიანური რესურსების განვითარება

სტრატეგიული მიზანი 3 - ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება

II პრიორიტეტული მიმართულება - ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება

სტრატეგიული მიზანი 4 - სწავლისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა

სტრატეგიული მიზანი 5 - სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა

III პრიორიტეტული მიმართულება - სტუდენტური ცხოვრების მხარდამჭერი გარემოს შექმნა

სტრატეგიული მიზანი 6 - სტუდენტური სერვისების განვითარება

IV პრიორიტეტული მიმართულება - საგარეო ურთიერთობების განვითარება, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

სტრატეგიული მიზანი 7 - ინტერნაციონალიზაციის ხარისხისა და საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა

სტრატეგიული მიზანი 8 - საზოგადოებასთან ურთიერთობების განვითარება

მიზანი 1

მართვის ხარისხის სისტემის გაუმჯობესება

- სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ყველა აკადემიური, სამეცნიერო და პრაქტიკოსი პერსონალის, ამავედროულად, ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის სასწავლო და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში ჩართვა.
- უნივერსიტეტის მართვის დოკუმენტბრუნვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ჩართვა;
- მონიტორინგის სისტემის შიდა მექანიზმების ფაკულტეტზე დანერგვა;
- ფაკულტეტის სტრუქტურის ოპტიმიზაცია;
- შიდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო პოლიტიკის დანერგვა/გამლიერება.

მიზანი 2

ადამიანური რესურსების განვითარება

- აკადემიური პერსონალისა და პრაქტიკოსი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ორგანიზება/ჩატარება, რომელიც დაიგეგმება განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებისა და სიახლეების შესაბამისად (მაგ.: ახალ საერთაშორისო სამართლის საბიბლიოთეკო რესურსებთან მუშაობის უნარების გამლიერება; სწავლების ახალი მეთოდები და მათი პრაქტიკული გამოყენება; შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები; ინტეგრირებული სასწავლო კურსების შემუშავება და „სწავლების“ განაწილება; სხვა);
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის უცხო ენის კომპეტენციის ამაღლების ღონისძიებების გატარება.

- ადამიანური რესურსების (ადმინისტრაციული, აკადემიური) მონიტორინგის შიდა მექანიზმების შემუშავება, მონიტორინგის სისტემატური განხორციელება, რეკომენდაციების მომზადება, ანალიზის დოკუმენტის მომზადება.

მიზანი 3

ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, საგანმანათლებლო გარემოს რეაბილიტაცია;
- ფაკულტეტის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა/ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- სასწავლო რესურსების განახლება, შეძენა (უახლესი გამოცემებით დარგის უახლესი მიღწევების გათვალისწინებით და სილაბუსებით განსაზღვრული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის შესაბამისად, მათ შორის ქეისების ჩათვლით). ამავდროულად, საერთაშორისო ბაზებზე, კონკრეტულად საერთაშორისო სამართლის **საბიბლიოთეკო** ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფა;
- აკადემიური პერსონალის, სტუდენტებთან ინდივიდუალური შეხვედრებისა და კონსულტაციების გავლის უზრუნველყოფის მიზნით სპეციალური შეხვედრის ადგილის (რეკრეაციული/სამუშაო სივრცის) გამოყოფა და ორგანიზება;
- სსსმ და შშმ სტუდენტების საჭიროებების შესწავლა ინფრასტრუქტურის კუთხით, საჭიროებებთან ადაპტირება;
- ინფრასტრუქტურის მონიტორინგის შიდა მექანიზმების შემუშავება, მონიტორინგის სისტემატური განხორციელება, რეკომენდაციების მომზადება;
- ფინანსური მდგომარეობის ანალიზი.

II პრიორიტეტული მიმართულება - ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება

მიზანი 4

სწავლისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა

- ✚ შრომის ბაზარზე ორიენტირებული და მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, არსებული პროგრამების მოდერნიზება;
- ✚ აკადემიური, სამეცნიერო, პრაქტიკოსი პერსონალის სასწავლო, სამეცნიერო და სხვა სახის საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება, მონიტორინგის სისტემატური განხორციელება; მონიტორინგის შედეგების ასახვა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;
- ✚ აკადემიური, სამეცნიერო, პრაქტიკოსი პერსონალის სასწავლო, სამეცნიერო და სხვა სახის საქმიანობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება და სათანადო რეკომენდაციების მომზადება. შედეგების ასახვა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;
- ✚ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვა სახის საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო ღონისძიებებში, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართვისა და მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით წინადადებების შემუშავება და განხორციელება (ევროკავშირის ქვეყნებში, აშშ-ში და იმ ქვეყნებში, რომლებთანაც ინტეგრაცია თუ თავსებადობა საქართველოს სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკისა და სტანდარტების ნაწილია);
- ✚ საზღვარგარეთის სხვადასხვა პარტნიორ უნივერსიტეტებში აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, ასევე, პრაქტიკოსი **პერსონალის** მივლინება, გამოცდილების გაზიარების მიზნით;
- ✚ კერძო კომპანიებთან (იურიდიული-საადვოკატო, სამეწარმეო და სხვა) სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა (ბაკალავრიატი) დასაქმების შესახებ თანამშრომლობის მემორანდუმების/ხელშეკრულებების გაფორმება;
- ✚ შრომის ბაზრის კვლევის დაკვეთა და მისი შედეგების ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით;
- ✚ აკადემიური პერსონალის ხელთ არსებული (ელ-ვერსია, ბეჭდური ფორმით) სასწავლო-სახელმძღვანელო და სამეცნიერო ლიტერატურის დროებითი გამოთხოვა და რამოდენიმე **ასლის** დამზადება (ელ-ვერსიით და ბეჭდური ფორმით), მათი განთავსება საბიბლიოთეკო რესურსებში, ამავდროულად ფაკულტეტის ვებ-გვერდზე;

- აკადემიური პერსონალის მიერ საკუთარი ჰენდაუთების მომზადების პროცესის მოტივირება და უზრუნველყოფა. ჰენდაუთების განთავსება საბიბლიოთეკო რესურსებში, ასევე, ფაკულტეტის ვებ-გვერდზე (ინტერანეტ ქსელში);
- საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან (www.matshne.gov.ge) თანამშრომლობის გაფორმება;
- კარიერული განვითარების ცენტრის ამოქმედება, სტაჟირებისა და ვაკანსიების ბაზის ამოქმედება;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებაში, შეფასებასა და განვითარებაში სტუდენტის, კურსდამთავრებულის, დამსაქმებლის, მეცნიერისა და ექსპერტის აქტიური ჩართულობა;
- დამსაქმებელთან ორმხრივად სასარგებლო, რეალური და მოქმედი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება და განხორციელება, მოკლევადიანი პროგრამების შექმნა/სრულყოფა;
- დამსაქმებელს, სტუდენტს, პროფესორსა და მკვლევარს შორის ინფორმაციისა და მონაცემთა გაცვლის, სწავლებისა და კვლევის გაუმჯობესება, ერთობლივი საგანმანათლებლო და კვლევითი პროექტების განხორციელება.

მიზანი 5

სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა

- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი ინიციატივების ინტენსიური განხილვა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დამტკიცებამდე ამ ინიციატივების ღირებულების შეფასება;
- სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გააქტიურება, ფინანსური რესურსების გათვალისწინება;
- მაღალი რეიტინგის სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა;
- სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ჩართულობის, შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის, ინფორმაციის საჯაროობის პროცესის მონიტორინგის მიზნით მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან შეხვედრების მოწყობა;
- სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის განვითარებისა და ხარისხის გაძლიერების მიზნით, ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების (დეპარტამენტების, ინსტიტუტების, ლაბორატორიების, განყოფილებების, ბიბლიოთეკის, კომპიუტერული ცენტრის) ხელმძღვანელებთან მჭიდრო და ინტენსიური კომუნიკაცია/შეხვედრები, ანგარიშების მოსმენა

გვარტალურად, პრობლემური ასპექტების გამოკვეთა, რეკომენდაციების მომზადება და ასახვა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროცესში;

- ✚ აკადემიური, სამეცნიერო, პრაქტიკოსი პერსონალის სასწავლო, სამეცნიერო და სხვა სახის საქმიანობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება და სათანადო რეკომენდაციების მომზადება. შედეგების ასახვა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;

III პრიორიტეტული მიმართულება - სტუდენტური ცხოვრების მხარდამჭერი გარემოს შექმნა

მიზანი 6

სტუდენტური სერვისების განვითარება

- ✚ სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ჩართულობის, შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის, ინფორმაციის საჯაროობის პროცესის მონიტორინგის მიზნით მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან შეხვედრების მოწყობა;
- ✚ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებთან შეკრებების ორგანიზება/მოწყობა ყველა სიახლის, ცვლილების, პრობლემურ საკითხებსა თუ წესებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება;
- ✚ კულტურულ და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების ორგანიზება (მაგ.: გასვლითი შეხვედრები ან/და სხვა);
- ✚ სტუდენტებისთვის სპეციალური კურსების ორგანიზება სხვადასხვა სახის ლიტერატურის მოძიების უნარების გაძლიერების მიზნით: უნივერსიტეტის მიერ შექმნილ საერთაშორისო **საბიბლიოთეკო** ბაზებზე წვდომა (კოდების გამოყენება, საძიებო მეთოდოლოგია და სხვ.);
- ✚ სტუდენტთა კულტურული, შემოქმედებითი, ღირებულებითი, სამოქალაქო აზროვნების ჩამოყალიბების, პიროვნული განვითარებისა და მოქალაქეობრივი თვითშეგნებით გაზრდის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა **და განხორციელება**;
- ✚ სწავლის და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, ტრენინგების, სემინარების, შეხვედრების და სხვა ღონისძიებებისა და შესაძლებლობების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება, ასევე, massage box-ის სისტემით გავრცელება.

- ✚ სტუდენტური სერვისების (ელექტრონული) დანერგვა/ხელმისაწვდომობა;
- ✚ შეფასების აპელაციის შესაძლებლობების, დროის, პროცედურის, ადგილის თაობაზე ინფორმაციის შეტყობინება;
- ✚ ინფორმაციის დროულად განთავსების ან/და მიწოდების პროცესის კონტროლი.

IV პრიორიტეტული მიმართულება - საგარეო ურთიერთობების განვითარება, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

მიზანი 7

ინტერნაციონალიზაციის ხარისხისა და საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა

- ✚ უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებთან მოლაპარაკება **ორმაგი აღიარების დიპლომის** თაობაზე (ყველა შესაძლებელ პროგრამაზე);
- ✚ გაცვლითი **საგანმანათლებლო პროგრამების ხელშეწყობა** **სასწავლო სემესტრების** **ორგანიზება** უცხოეთში (საბაკალავრო, სამაგისტრო საფეხურზე);
- ✚ გაცვლითი სასწავლო და კვლევითი ერთობლივი პროექტების ორგანიზება მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურზე;
- ✚ უცხოელი აკადემიური პერსონალის მიერ (ორდღიანი, მაქსიმუმ ერთკვირიანი) ლექციების ჩატარება სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების იმ მიმართულებით, რაც მეტად აქტუალურია ფაკულტეტისთვის, უნივერსიტეტისთვის, სახელმწიფოსთვის;

მიზანი 8

საზოგადოებასთან ურთიერთობების განვითარება

- ✚ პარტნიორობის და მჭიდრო კომუნიკაციის დაგეგმვა/განხორციელება ადგილობრივ სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებთან (შეხვედრები, ღია ლექციები, დაწესებულებების გამოცდილების ურთიერთგაზიარება, თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება (პრაქტიკასა და სტაჟირებაზე);
- ✚ კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სტატისტიკის შედგენა და დამუშავება;
- ✚ თანამშრომლობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან;
- ✚ ინტენსიური თანამშრომლობა და კონსულტაციები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან;